ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 44

8 მაისი, 2025 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

12:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

თამარ ჩახვაშვილი

სხდომას ასევე ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები:

1. ვახტანგ ფხაკაძე
2. ელისაბედ ფხაკაძე
3. ირაკლი ფხაკაძე

4. ლალი პაპუნაშვილი
5. თინათინ გრძელიშვილი
6. გიორგი ფოფხაძე
7. ზვიად ჩიხლაძე
8. ოთარ გვასალია
9. სანდრო გვასალია
10. გიორგი ცაგარელი
11. ქეთევან თუღანოვი
12. ლუკა ნოზაძე
13. მეგი ანდიაშვილი
14. თინათინ მუშკუდიანი

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი ჩიხისთვის ხელბურთელის იმედო ფხაკაძის სახელის მინიჭების შესახებ;
2. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, პეტრე ხვედელიძისა და შანდორ პეტეფის ქუჩებთან არსებული უსახელო მოედნისთვის მონტევიდეოს სახელის მინიჭების შესახებ;
3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ე.წ. ვარკეთილის ცენტრალური პარკისთვის უზბეკი პოეტის, მოაზროვნის და სახელმწიფო მოღვაწის ალიშერ ნავოის სახელის მინიჭების შესახებ;
4. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ზიგზაგის ჩიხისთვის და ზიგზაგის II ქუჩისთვის ზიგზაგის სახელის მინიჭების შესახებ;
5. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გვაზაურის II შესახვევისთვის გეოლოგის, აკადემიკოს გიორგი ძოწენიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ;

6. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, მირზა გელოვანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კინორეჟისორ ომარ გვასალიას სახელის მინიჭების შესახებ;
7. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მუხიანი 2-ის დასახლებაში, კალოუბნის I გასასვლელისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, უსახელო ჩიხისთვის, შესახვევისთვის და კალოუბნის I ჩიხის მონაკვეთისთვის იკორთის სახელის მინიჭების შესახებ ;
8. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ახალდაბის ქუჩის მონაკვეთისთვის და ახალდაბის ჩიხისთვის დრამატურგისა და მსახიობის ავქსენტი ცაგარელის სახელის მინიჭების შესახებ;
9. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მოლითის ქუჩის მონაკვეთისთვის, მოლითის I ჩიხისთვის, ახალდაბის ქუჩის მონაკვეთებისთვის და შესახვევისთვის ახალდაბის სახელის მინიჭების შესახებ;
10. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, დრანდის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის დრანდის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ;
11. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ანდრო ქუჯოშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ანდრო ქუჯოშვილის IV შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ;
12. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში წმინდაწყლის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის წმინდაწყლის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;
13. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან არსებულო უსახელო გასასვლელისთვის ლეო კვაჭაძის II გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ;
14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ალადასტურის ქუჩის გაგრძელების შესახებ;
15. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩასთან მდებარე სამი უსახელო ჩიხისთვის, ნავთლუღის II დასახლების III ქუჩისთვის, II ქუჩისთვის და გრიგოლ ლორთქიფანიძის გასასვლელისთვის გრიგოლ ლორთქიფანიძის I შესახვევის, I, II, III, IV და V ჩიხების სახელების მინიჭების შესახებ;
16. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, იოსებ ჟორდანიას ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის იოსებ ჟორდანიას I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი.

1. **ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი ჩიხისთვის ხელბურთელის იმედო ფხაკაძის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი. კომისიაში შემოსულია საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის ვახტანგ მეიფარიანის წერილი, რომლითაც ფედერაციის სახელით ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ხელბურთელის იმედო ფხაკაძის სახელი. ასევე კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის გიორგი ტაბატაძის წერილი, რომლითაც მოქ. ზვიად ჩიხლაძის განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია სოფელ თხინვალაში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

2024 წლის 2 აპრილსს კომისიაში იგივე მოთხოვნით შემოსულია მოქ. ზვიად ჩიხლაძის განცხადება.

კომისიამ შეისწავლა ტერიტორია. კომისიამ ასევე შეისწავლა ხელბურთელის იმედო ფხაკაძის ბიოგრაფია. მისი სპორტული კარიერა მრავალფეროვანი და გამორჩეულია: იმედო ფხაკაძე იყო სსრკ ორგზის ჩემპიონი, სამგზის მეორე და მესამე პრიზიორი. გატანილი აქვს 193 გოლი.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული სახელდება.

გეოგრაფიული ობიექტის შერჩევის პროცესში კომისიის მიერ კონსულტაციები გაიმართა, როგორც ხელბურთის ფედერაციასთან, ასევე სპორტსმენის ოჯახის წევრებთან.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდნენ იმედო ფხაკაძის ოჯახის წევრები, ასევე მოქალაქე ზვიად ჩიხლაძე. ვახტანგ ფხაკაძემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს იმედო ფხაკაძის ღვაწლის დაფასებისთვის, ასევე მადლობა გადაუხადა კომისიას ზვიად ჩიხლაძემ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პირველი საკითხი.

მომხრე - სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ოთხ ჩიხს მიენიჭოს ხელბურთელის იმედო ფხაკაძის სახელი.

2. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, პეტრე ხვედელიძისა და შანდორ პეტეფის ქუჩებთან არსებული უსახელო მოედნისთვის მონტევიდეოს სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს მეორე საკითხის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. კომისიაში შემოსულია მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის ირაკლი გვილავას წერილი, რომელიც გვიგზავნის საგარეო საქმეთა სამინისტროდან შემოსულ წერილს, რომლითაც ითხოვენ თბილისში, რომელიმე მოედანს მიენიჭოს „მონტევიდეოს“ სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი.

ურუგვაის აღმოსავლურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოდან მიღებული ინფორმაციით ცნობილია, რომ მონტევიდეოს საოლქო საბჭომ ქალაქ მონტევიდეოში ხუან ბაუტისტა ალბერდისა და ბოლივიის გამზირების კვეთაზე არსებულ მოედანს მიანიჭა "თბილისის მოედნის" სახელი. მოედანი მდებარეობს კარასკოს უბანში.

კომისიის მიერ, საკითხის შესწავლისას დამუშავდა მონტევიდეოს ელექტრონული რუკები, შეფასდა სახელდებული მოედნის როგორც მდებარეობა, ასევე პარამეტრები და შეარჩია უსახელო მოედანი ისნის რაიონში.

ურუგვაისა და საქართველოს შორის მეგობრული კავშირების და ნაცვალგების პრინციპების გათვალისწინებით, კომისიამ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეორე საკითხი.

მომხრე - სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, პეტრე ხვედელიძისა და შანდორ პეტეფის ქუჩებთან არსებულ უსახელო მოედანს მიენიჭოს მონტევიდეოს სახელი.

3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ე.წ. ვარკეთილის ცენტრალური პარკისთვის უზბეკი პოეტის, მოაზროვნის და სახელმწიფო მოღვაწის ალიშერ ნავოის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ლევან აბაშიძემ დღის წესრიგით წარმოდგენილი მესამე საკითხი განიხილა. კომისიაში შემოსულია მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის ირაკლი გვილავას წერილი, რომელიც გვიგზავნის საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიისა და ოკეანის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორის ალექსანდრე ნალბანდოვის წერილს, რომლითაც ითხოვს თბილისში ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს უზბეკი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ალიშერ ნავოის სახელი.
კომისიის მიერ განხილული იქნა ქალაქ ტაშკენტში ქუჩისთვის და სკვერისთვის შოთა რუსთაველის სახელის მინიჭების ისტორია. აღსანიშნავია ის, რომ ქალაქის ცენტრალურ უბანში გამავალი ერთ-ერთი მთავარი ქუჩა დაახლოებით 6,5 კმ. სიგრძისაა, იგი ქალაქის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის მატარებელია, როგორც სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიისთვის წარდგენილი კორესპონდენციებიდან დგინდება 2022 წელს ტაშკენტში მდებარე შოთა რუსთაველის სკვერს ჩაუტარდა რეაბილიტაცია და ოფიციალურად გაიხსნა საქართველოს პრემიერ მინისტრისა და ქალაქ თბილისის მერის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში.

საქართველოსა და უზბეკეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების, მეგობრული კავშირებისა და ნაცვალგების პრინციპების გათვალისწინებით, კომისიამ დადებითად გადაწყვიტა აღნიშნული სახელდება.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა მესამე საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, ე.წ. ვარკეთილის ცენტრალურ პარკს მიენიჭოს უზბეკი პოეტის, მოაზროვნის და სახელმწიფო მოღვაწის ალიშერ ნავოის სახელი.

4. **ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ზიგზაგის ჩიხისთვის და ზიგზაგის II ქუჩისთვის ზიგზაგის სახელის მინიჭების შესახებ;**

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტთან ერთობლივი მუშაობის ფარგლებში, კომისიამ დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ნაძალადევის რაიონში ზიგზაგის ქუჩებზე სახელდების ნორმალიზების მიზნით. ადგილზე მოხდა ტერიტორიის შეფასება. როგორც დგინდება ზიგზაგის სახელით ცნობილ ორივე ქუჩაზე გზათა ქსელი უსისტემოდაა სახელდებული. ქუჩის სახელი მინიჭებული აქვს მონაკვეთებს, სადაც არ არსებობს ფაქტობრივი გასასვლელი ან ორი დამოუკიდებელი ქუჩა ერთმანეთს ქვეითთა გადაადგილებისთვის მოწყობილი კიბით უკავშირდება. აღნიშნული ხარვეზები პრობლემებს ქმნის, როგორც სანავიგაციო მიმართულებით, ასევე ართულებს შენობა-ნაგებობების თანამედროვე ნუმერაციის პროცესს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეოთხე საკითხი.

მომხრე - სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, ზიგზაგის ჩიხის მონაკვეთს და ზიგზაგის II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ზიგზაგის ქუჩის სახელი, ზიგზაგის II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ზიგზაგის I ჩიხის სახელი, ხოლო ზიგზაგის ჩიხის მონაკვეთს მიენიჭოს ზიგზაგის II ჩიხის სახელი.

5. **ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გვაზაურის II შესახვევისთვის გეოლოგის, აკადემიკოს გიორგი ძოწენიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო მეხუთე საკითხი. კომისიაში შემოსულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს როინ მეტრეველის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს გეოლოგის, აკადემიკოს გიორგი ძოწენიძის სახელი.

2023 წლის 21 მარტს კომისიაში შემოსულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ირაკლი ხელაძის წერილი, რომლითაც მოქ. რამაზ შუბითიძე გვაზაურის ქუჩის II შესახვევის #66 მცხოვრები მოქალაქეების სახელით ითხოვს ქუჩის არასწორად დამისამართებასთან დაკავშირებით პრობლემის მოგვარებას.

აღნიშნული ტერიტორია ესაზღვრება ზიგზაგის ქუჩებს და საერთო გეგმარებითი და ურბანული თავისებურებების გათვალისწინებით იდენტური პრობლემებით გამოირჩევა.

ხსენებულ ტერიტორიაზე არსებული გზათა ქსელების მოწესრიგების პროცესი 2024 წელს დაიწყო. #261 განკარგულებით გვაზაურის I შესახვევის მონაკვეთს, გვაზაურის II გასასვლელის მონაკვეთს, ჩიხებს და შესახვევებს მიენიჭა ფიზიკოსის, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის სახელი.

ვინაიდან გვაზაურის II შესახვევი ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს დამოუკიდებელ ქუჩას და არ აქვს გეოგრაფიული კავშირი გვაზაურის ქუჩის ძირითად მონაკვეთთან, მიზანშეწონილია მისთვის დამოუკიდებელი სახელის მინიჭება.

კომისიამ შეისწავლა გიორგი ძოწენიძის ბიოგრაფიული მონაცემები. 1957-1959 წლებში ქართველი გეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გიორგი ძოწენიძე იყო თსუ-ს მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის გამგე. მრავალმხრივი იყო გიორგი ძოწენიძის მეცნიერული ინტერესები. მან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტში ჩამოაყალიბა ლითოლოგიის განყოფილება. მისი ხელმძღვანელობით და მისივე უშუალო მონაწილეობით ტარდებოდა საქართველოს დანალექი ფორმაციების ლითოლოგიური შესწავლა. მნიშვნელოვანი გამოკვლევები, რომლებიც მან მიუძღვნა გეოლოგიაში სრულიად ახალ

მეცნიერულ მიმართულებას-ვულკანიზმის როლს დანალექი ქანებისა და მადანთწარმოებაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეხუთე საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, გვაზაურის II შესახვევს მიენიჭოს გეოლოგის, აკადემიკოს გიორგი ძოწენიძის ქუჩის სახელი.

6. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, მირზა გელოვანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კინორეჟისორ ომარ გვასალიას სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, უკანასკნელი წლების განმავლობაში კომისია აქტიურად მუშაობს ოქროყანისა და ტაბახმელას ტერიტორიებზე მიმდინარე განაშენიანების შედეგად წარმოქმნილი უსახელო ქუჩების სახელდების მიმართულებით. კომისიაში შემოსულია მოქ. ლიზა ერისთავის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს კინორეჟისორის ომარ გვასალიას სახელი. წერილს ხელს აწერენ: ელდარ შენგელაია, ლანა ღოღობერიძე, ქეთი დოლიძე, ლევან თუთბერიძე, ნიკოლოზ შენგელაია, ოთარ ლითანიშვილი და ოთარ შამათავა.
კომისიამ შეისწავლა ომარ გვასალიას ბიოგრაფია. მისიდებიუტი მხატვრულ კინოში შედგა 1972 წელს. მოსფილმის ექსპერიმენტულ გაერთიანებაში დადგა ფსიქოლოგიური დრამა „დროებითი მოწმობა“ ა. სტეფანოვიჩთან ერთად. მას მოყვა სხვადასხვა ჟანრის ფილმები „მშვიდობიანი დღეები“, „იმედის მწვანე კუნძული“, „მშვიდობით მეგობარო“,

„ქართველები ცაში“. 80-იანი წლებში საქართველოს სოციალური და საზოგადოებრივი პრობლემები ასახა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ფილმში „რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან“.

ომარ გვასალია წარმატებით მუშაობდა დოკუმენტურ კინოში, როგორც სცენარისტი და რეჟისორი. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოს ფაკულტეტზე, იყო საქართველოს ტელეფილმების სტუდიის დერექტორი.
ომარ გვასალია დაჯილდოებულია ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის პრიზით, ქართული კინოფესტივალი „ოქროს არწივის“ და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სხვა პრიზებითა და ჯილდოებით.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდა ომარ გვასალიას ოჯახის წევრი ოთარ გვასალია. მან მადლობა გადაუხადა კომისიას აღნიშნული სახელდებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეექვსე საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, მირზა გელოვანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს კინორეჟისორ ომარ გვასალიას სახელი.

7. **ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მუხიანი 2-ის დასახლებაში, კალოუბნის I გასასვლელისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, უსახელო ჩიხისთვის, შესახვევისთვის და კალოუბნის I ჩიხის მონაკვეთისთვის ორორთის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის გიორგი ტაბატაძის წერილი, რომლითაც მოქ. რევაზ კევლიშვილის განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია გლდანში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, თუმცა კალოუბნის ქუჩის გარკვეული მონაკვეთები საჭიროებს სახელწოდების ცვლილებას და გზათა ქსელის ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანას. წინამდებარე ცვლილებით, კალოუბნის I გასასვლელი და მასთან არსებული უსახელო მონაკვეთი ყალიბდება ერთ დამოუკიდებელ ქუჩად, ხსენებულ ქუჩასთან განვითარებულია ერთი ჩიხი. აღნიშნული ქუჩის შესახვევად ყალიბდება კალოუბნის I ჩიხის მონაკვეთი და მასთან არსებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტი.

წარმოქმნილი ქუჩისთვის, ჩიხისთვის და შესახვევისთვის სახელის შერჩევისას კომისიამ იხელმძღვანელა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სახელწოდებების თავისებურებებით, როგორც დგინდება მუხიანი 2-ის დასახლებაში ქუჩებს მინიჭებული აქვს ქართული სოფლებისა და დასახლებების სახელები. კომისიამ შეარჩია იკორთის სახელი. ისტორიული სოფელი მდებარეობს ერედვის მუნიციპალიტეტში, 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. იკორთაში მდებარეობს 1172 წელს აგებული გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა კატეგორიას განეკუთვნება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, მუხიანი 2-ის დასახლებაში, კალოუბნის I გასასვლელს, მასთან მდებარე უსახელო ქუჩას, უსახელო ჩიხს,

შესახვევს და კალოუბნის I ჩიხის მონაკვეთს მიენიჭოს იკორთის სახელი.

8. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ახალდაბის ქუჩის მონაკვეთისთვის და ახალდაბის ჩიხისთვის დრამატურგისა და მსახიობის ავქსენტი ცაგარელის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი გააცნო. კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც ითხოვს ახალდაბის ქუჩის გზათა ქსელის მოწესრიგებას.

მ/წლის 14 თებერვალს კომისიაში შემოსულია მოქ. გიორგი ცაგარელის განცხადება, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს დრამატურგისა და მსახიობის ავქსენტი ცაგარელის სახელი.

კომისიის წარმომადგენლების მიერ ადგილზე განხორციელდა ტერიტორიის შესწავლა, როგორც დგინდება, დასახლება მდებარეობს დავით გურამიშვილის გამზირის მიმდებარედ. ტერიტორია განაშენიანებულია უსისტემოდ, გზათა ქსელის სახელდება კი განხორციელებულია ფაქტობრივი მდგომარეობის უგულვებელყოფით. ახალდაბის ქუჩის სახელი მინიჭებული აქვს სრულ ქსელს, რაც შეუძლებელს ხდის, როგორც შენობა-ნაგებობების ნუმერაციას, ასევე არსებული მისამართების მიგნებას.

აღწერის შედეგების საფუძველზე კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ძირითადი ქუჩის, შესახვევების, ჩიხებისა და გასასვლელების დიფერენცირება და შესაბამისად სახელდება.

ზემოხსენებულ ტერიტორიაზე ორი ძირითადი ქუჩაა, კომისია მიიჩნევს, რომ ერთ-ერთ მათგანს უნდა მიენიჭოს დრამატურგისა და მსახიობის ავქსენტი ცაგარელის სახელი.

ავქსენტი ცაგარელი 1879 წლიდან იყო თბილისში შექმნილი მუდმივი ქართული დასის აქტიური წევრი და დრამატურგი. მისი პირველი პიესა, კომედია „რაც გინახავს, ვეღარ

ნახავ“ იყო მძაფრი სოციალური პროტესტი თავგასყული თავადაზნაურების წინააღმდეგ. პიესა საფუძვლად დაედო ამავე სახელწოდების ფილმს (1965წ. რეჟ. მიხეილ ჭიაურელი). კომედიაში „ხანუმა“ ნაჩვენებია ფეოდალური კლასის გაღატაკება და ზნეობრივი დაკნინება. „ხანუმა“ გახდა ორი ფილმისა და ერთი ოპერის საფუძველი („ქეთო და კოტე“)

ავქსენტი ცაგარელის დრამატულმა ნაწარმოებებმა დიდი აღიარება მოიპოვა, რაც განაპირობა მისი პიესების ცოცხალმა სასაუბრო ენამ, დახვეწილმა დიალოგებმა, ოსტატურად დახატულმა ტიპაჟმა.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდა მოქალაქე გიორგი ცაგარელი. მან ისაუბრა ავქსენტი ცაგარელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და აღნიშნა, რომ იგი იმსახურებს თბილისის ერთ-ერთი ქუჩა ატარებდეს ავქსენტი ცაგარელის სახელს. გიორგი ცაგარელმა მადლობა გადაუხადა კომისიას სახელდებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს დრამატურგისა და მსახიობის ავქსენტი ცაგარელის სახელი, ხოლო ახალდაბის ქუჩის მონაკვეთს, ახალდაბის ჩიხს და მასთან არსებულ უსახელო მონაკვეთს ავქსენტი ცაგარელის I გასასვლელის სახელი.

9. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მოლითის ქუჩის მონაკვეთისთვის, მოლითის I ჩიხისთვის, ახალდაბის ქუჩის მონაკვეთებისთვის და შესახვევისთვის ახალდაბის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ლევან აბაშიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც ითხოვს ახალდაბის ქუჩის გზათა ქსელის მოწესრიგებას. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დგინდება, რომ ტერიტორია განაშენიანებულია უსისტემოდ, გზათა ქსელის სახელდება კი განხორციელებულია ფაქტობრივი მდგომარეობის უგულვებელყოფით. ახალდაბის ქუჩის სახელი მინიჭებული აქვს სრულ ქსელს, რაც შეუძლებელს ხდის, როგორც შენობა-ნაგებობების ნუმერაციას, ასევე არსებული მისამართების მიგნებას.

ახალდაბის ქუჩის სახელი აღნიშნულ დასახლებასთან მიმართებით ერთგვარ ტოპონიმურ სახელად ჩამოყალიბდა და ადგილობრივები მას XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მოიხსენიებენ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეცხრე საკითხი.

მომხრე- სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნამალადევის რაიონში, მოლითის ქუჩის მონაკვეთს, მოლითის I ჩიხს, ახალდაბის ქუჩის მონაკვეთებს და შესახვევს მიენიჭოს ახალდაბის სახელი.

10 ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, დრანდის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის დრანდის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ლევან აბაშიძემ კომისიას განსახილველად წარუდგინა მეათე საკითხი. კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქ. ქეთევან თუღანოვის განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია ფარსმან II ქველის ქუჩასთან უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.
კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს დრანდის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის უსახელო გასასვლელს.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდა მოქალაქე ქეთევან თუღანოვი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას ქუჩაზე მაცხოვრებლების პრობლემის გადაწყვეტისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, დრანდის ქუჩასთან არსებულ უსახელო გასასვლელს მიენიჭოს დრანდის I გასასვლელის სახელი.

11 ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ანდრო ქუჯოშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ანდრო ქუჯოშვილის IV შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია მოქ. დავით კოპალიანის და გიორგი კობრავას წერილები, რომლებით ითხოვენ ანდრო ქუჯოშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხები და შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ანდრო ქუჯოშვილის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის უსახელო შესახვევს.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთერთმეტე საკითხი.

მომხრე -სამი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, ანდრო ქუჯოშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ანდრო ქუჯოშვილის IV შესახვევის სახელი.

12.ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში წმინდაწყლის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის წმინდაწყლის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქ. თინათინ მუშკუდიანის განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით სოფელ აგარაკის ტერიტორიაზე უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.
კომისიამ შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს აგარაკის დასახლებაში, წმინდაწყლის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი

თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება. ქუჩასთან განვითარებულია ერთი უსახელო ჩიხი.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთორმეტე საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში გაგრძელდეს წმინდაწყლის ქუჩა და ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს წმინდაწყლის I ჩიხის სახელი.

13. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან არსებულო უსახელო გასასვლელისთვის ლეო კვაჭაძის II გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქ. გიორგი გუგავას განცხადების საფუძველზე მოითხოვნილია ლისის ტერიტორიაზე უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ლეო კვაჭაძის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის უსახელო გასასვლელს.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეცამეტე საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო გასასვლელს მიენიჭოს ლეო კვაჭაძის II გასასვლელის სახელი.

14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ალადასტურის ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, მ/წლის 8 მარტს კომუნიკაცია შედგა იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსთან ნინო ბახიასთან.

კომუნიკაციის დროს დადგინდა, რომ ალადასტურის ქუჩის მიმდებარედ არსებობს რეგისტრირებული საკადასტრო ერთეულები, რომლებსაც მისამართი განესაზღვრებათ ალადასტურის ქუჩით. ხსენებული ერთეულები მდებარეობს ალადასტურის ქუჩის გეგმარებით გაგრძელებაზე. გზის რამდენიმე ათეულ მეტრიანი მონაკვეთი უსახელოა და მიზანშეწონილია მისი სახელდება.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთოთხმეტე საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში გაგრძელდეს ალადასტურის ქუჩა.

15. **ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩასთან მდებარე სამი უსახელო ჩიხისთვის, ნავთლუღის II დასახლების III ქუჩისთვის, II ქუჩისთვის და გრიგოლ ლორთქიფანიძის გასასვლელისთვის გრიგოლ ლორთქიფანიძის I შესახვევის, I, II, III, IV და V ჩიხების სახელების მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქ. ლუკა ნოზაძის განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია ნავთლუღის დასახლებაში, გზათა ქსელის მოწესრიგება.
კომისიამ შეისწავლა ტერიტორია. როგორც დგინდება, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩის მიმდებარედ არსებობს უსახელო გეოგრაფიული ობიექტები, ხოლო რიგ ობიექტებს სახელწოდებები მინიჭებული აქვს ნავთლუღის II დასახლების რომაული ციფრებით.

იმის გათვალისწინებით, რომ ნავთლუღის დასახლებას აღნიშნულ ტერიტორიასთან შემხებლობა არ აქვს. კომისიის ინიციატივით, მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2022 წელს რიგ ქუჩებს 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა სახელები მიანიჭა. წინამდებარე ინიციატივა 2022 წელს დაწყებული ქსელის მოწესრიგების პროცესის ლოგიკური გაგრძელებაა.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდა განმცხადებელი ლუკა ნოზაძე. მან მადლობა გადაუხადა კომისიას აღნიშნული პრობლემის დადებითი გადაწყვეტისთვის. საკითხის უფრო დეტალურად გაცნობისთვის, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნოს უფროსმა მამუკა ბალიაშვილმა განუმარტა, რომ პროცესი გაიყო ორ ნაწილად. საჯარო რეესტრთან ერთად ჩამოყალიბდნენ ფორმულირებაზე. აღმოჩნდა, რომ იყო ორი გასასვლელი ლორთქიფანიძის ქუჩის მიმდებარედ. არ რჩება არც ერთი გეოგრაფიული ობიექტი დამისამართების გარეშე.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში ნავთლუღის II დასახლების II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს გრიგოლ ლორთქიფანიძის I შესახვევის სახელი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩასთან არსებულ ორ უსახელო ჩიხს მიენიჭოს გრიგოლ ლორთქიფანიძის I და III ჩიხის სახელი, ნავთლუღის II დასახლების III ქუჩას მიენიჭოს გრიგოლ ლორთქიფანიძის II ჩიხის სახელი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს და მასთან არსებულ II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს გრიგოლ ლორთქიფანიძის IV ჩიხის სახელი, ხოლო გრიგოლ ლორთქიფანიძის გასასვლელს მიენიჭოს გრიგოლ ლორთქიფანიძის V ჩიხის სახელი.

16. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, იოსებ ჟორდანიას ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის იოსებ ჟორდანიას I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქ. მეგი ანდიაშვილის განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია მითითებული საკადასტრო ერთეულების მიხედვით იოსებ ჟორდანიას ქუჩასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

კომისიამ შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს იოსებ ჟორდანიას ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის უსახელო ჩიხს.

აზრი გამოთქვა: მეგი ანდიაშვილმა მადლობა გადაუხადა კომისიას მოუხოვნის დაკმაყოფილებისთვის.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთექვსმეტე საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, იოსებ ჟორდანიას ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს იოსებ ჟორდანიას I ჩიხის სახელი.

ლევან აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ლევან აბაშიძე